დამტკიცებულია ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს 2015 წლის 25 ივნისის
#3 დადგენილებით

# ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში
# აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად
# კონკურსის ჩატარების
# დებულება

## I. კონკურსის გამოცხადება

1.1 ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსს ბრძანებით აცხადებს უნივერსიტეტის პრეზიდენტი. ბრძანებით განისაზღვრება პროფესორის, ასოცირებული პროფესორის, ასისტენტ-პროფესორის და ასისტენტის საკონკურსო ადგილების რაოდენობა სპეციალობების მიხედვით. ბრძანებაში ასევე მოცემული უნდა იყოს კონკურსის პირობები და ჩატარების ვადები;

1.2 ბრძანება ქვეყნდება საჯაროდ;

1.3 კონკურსთან დაკავშირებული ყველანაირი ინფორმაცია, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის უზრუნველყოფის მიზნით, ხელმისაწვდომი უნდა იყოს დაინტერესებული პირებისათვის.

## II. განაცხადების მიღება

2.1 კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს პირს 70 წლის ასაკამდე;

2.2 კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განცხადებებისა და საბუთების მიღების ორგანიზება ევალება პრეზიდენტს. განცხადებების მიღებაზე პასუხისმგებელ პირს ბრძანებით ნიშნავს პრეზიდენტი;

2.3 კონკურსში მონაწილეობის მსურველ პირთა მიერ საკონკურსო კომისიაში წარსადგენი საბუთების ჩამონათვალი მტკიცდება პრეზიდენტის ბრძანებით;

2.4 განცხადების მიღება ფიქსირდება სარეგისტრაციო ჟურნალში, რომლის ყოველი გვერდი დანომრილი, ხელმოწერილი და ბეჭედდასმულია (კომისია სარგებლობს უნივერსიტეტის ბეჭდით) ბრძანებით დამტკიცებული კომისიის წევრის მიერ. სარეგისტრაციო ჟურნალში სრულად უნდა იყოს აღრიცხული კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია. განცხადების მიღების დასრულებისთანავე საკონკურსო კომისიის წევრი სარეგისტრაციო ჟურნალში ბოლო განმცხადებლის ქვემოთ აკეთებს ჩანაწერს განცხადებების რაოდენობის შესახებ, აწერს ხელს და უსვამს ბეჭედს;

2.5 სარეგისტრაციო ჟურნალში დაშვებული შეცდომის შესახებ ჩანაწერი კეთდება "შენიშვნის" გრაფაში. სარეგისტრაციო ჟურნალში გადასწორება დაუშვებელია.

სარეგისტრაციო ჟურნალში კეთდება ჩანაწერი საჩივრის შეტანის, განხილვისა და კონკურსანტის მიმართ საბოლოო გადაწყვეტილების შესახებ. სარეგისტრაციო ჟურნალი ინახება უნივერსიტეტში ერთი წლის განმავლობაში.

**III. აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის პირობები**

3.1 პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნას პირი**,** რომელსაც აქვს**:**

3.1.1 დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი შესაბამის სპეციალობაში ან/და პროფესიული გამოცდილება და მაღალი კვალიფიკაცია შესაბამის დარგში, რომელიც დასტურდება სამუშაო სტაჟით, შესაბამისი მომზადებით ან/და პუბლიკაციებით;

3.1.2 სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება;

3.1.3 სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიები და კონფერენციებში (სიმპოზიუმები/კონგრესები) მონაწილეობა;

3.1.4 საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა;

3.1.5 ინგლისური ენის ცოდნა (მინიმუმ _ B2 დონეზე, რაშიც შედის პროფესიულ თემაზე კომპლექსური ტექსტების თავისუფლად გაგება, დაუბრკოლებლად საუბარი, მკაფიოდ სტრუქტურირებული ტექსტის დაწერა).

3.2 ასოცირებულ პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნას პირი**,** რომელსაც აქვს **:**

3.2.1 დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი შესაბამის სპეციალობაში ან/და პროფესიული გამოცდილება და მაღალი კვალიფიკაცია შესაბამის დარგში, რომელიც დასტუდება სამუშაო სტაჟით, შესაბამისი მომზადებით ან/და პუბლიკაციებით;

3.2.2 სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება;

3.2.3 სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიები და კონფერენციებში (სიმპოზიუმები/კონგრესები) მონაწილეობა;

3.2.4 საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა;

3.2.5 ინგლისური ენის ცოდნა (მინიმუმ _ B2 დონეზე, რაშიც შედის პროფესიულ თემაზე კომპლექსური ტექსტების თავისუფლად გაგება, დაუბრკოლებლად საუბარი, მკაფიოდ სტრუქტურირებული ტექსტის დაწერა).

3.3 ასისტენტ-პროფესორად 3 წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნას პირი**,** რომელსაც აქვს**:**

3.3.1 დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი შესაბამის სპეციალობაში ან/და პროფესიული გამოცდილება და მაღალი კვალიფიკაცია შესაბამის დარგში, რომელიც დასტურდება სამუშაო სტაჟით, შესაბამისი მომზადებით ან/და პუბლიკაციებით ;

3.3.2 სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიები და კონფერენციებში (სიმპოზიუმები/კონგრესები) მონაწილეობა;

3.3.3 საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა;

3.3.3 ინგლისური ენის ცოდნა (მინიმუმ _ B2 დონეზე, რაშიც შედის პროფესიულ თემაზე კომპლექსური ტექსტების თავისუფლად გაგება, დაუბრკოლებლად საუბარი, მკაფიოდ სტრუქტურირებული ტექსტის დაწერა).

3.4 ასისტენტად 3 წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნას შესაბამისი სპეციალობის დოქტორანტი ან/და პირი**,** რომელსაც აქვს პროფესიული გამოცდილება და მაღალი

კვალიფიკაცია შესაბამის დარგში, რომელიც დასტურდება სამუშაო სტაჟით, შესაბამისი მომზადებით ან/და პუბლიკაციებით.

**IV. საკონკურსო კომისია**

4.1 საკონკურსო კომისიის შემადგენლობას ბრძანებით ამტკიცებს უნივერსიტეტის პრეზიდენტი;

4.2 საკონკურსო კომისია შედგება 5 წევრისაგან;

4.3 საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება შეყვანილ იქნას პირი, რომელიც მონაწილეობს აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში.

**V. საკონკურსო კომისიის მუშაობის წესი**

5.1 საკონკურსო კომისიის პირველი სხდომა უნდა გაიმართოს კონკურსანტების განაცხადების მიღების დასრულების შემდეგ;

5.2 საკონკურსო კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება ბრძანებით დამტკიცებული სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი;

5.3 საკონკურსო კომისიის პირველ სხდომას ხსნის უნივერსიტეტის პრეზიდენტი. სხდომის დღის წესრიგის პირველ საკითხს წარმოადგენს კომისიის შემადგენლობიდან კომისიის თავმჯდომარის არჩევა. თავმჯდომარის არჩევა ხდება ღია კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით. საჭიროების შემთხვევაში ტარდება განმეორებითი კენჭისყრა. თავმჯდომარის არჩევის შემდეგ უნივერსიტეტის პრეზიდენტი სხდომის ხელმძღვანელობის უფლებამოსილებას გადასცემს თავმჯდომარეს;

5.4 კომისიის თავმჯდომარე არჩევისთანავე ასახელებს კომისიის მდივნის კანდიდატურას. მდივნის არჩევა ხდება ღია კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით. საჭიროების შემთხვევაში ტარდება განმეორებითი კენჭისყრა;

5.5 კომისიის მდივანი ადგენს სხდომის ოქმს, რომელსაც ხელს აწერს თავმჯდომარე და მდივანი. ყველა ოქმს თან ერთვის სხდომაზე კომისიის წევრთა გამოცხადების აღრიცხვის ფურცელი წევრთა ხელმოწერებით;

5.6 კონკურსი  პროფესორის, ასოცირებული პროფესორის, ასისტენტ- პროფესორის, ასისტენტის თანამდებობებზე ტარდება ცალ-ცალკე. დაუშვებელია აკადემიურ თანამდებობის ვაკანსიებზე სხვა აკადემიურ თანამდებობაზე მონაწილე კონკურსანტის გადაყვანა. ვაკანსია შეიძლება შევსებული იქნეს მხოლოდ განმეორებით გამოცხადებული ღია კონკურსის წესით;

5.7 კომისია განიხილავს კონკურსანტების მიერ შეტანილ განცხადებებსა და თანდართულ საბუთებს, პრეზიდენტის ბრძანებით დამტკიცებული მოთხოვნების ჩამონათვალთან მათი შესაბამისობის დადგენის მიზნით. განცხადებების განხილვის შედეგები, კომისიის წევრთა კომენტარები აისახება ოქმში;

5.8 საჭიროების შემთხვევაში კომისიას შეუძლია კონკურსანტისაგან მოითხოვოს ორი დღის ვადაში დამატებითი ან შესწორებული საბუთის წარმოდგენა, მაგრამ უკვე არსებული საბუთის შეცვლა დაუშვებელია. დამატებითი ან შესწორებული საბუთი ბარდება კომისიის მდივანს. მას ეს ინფორმაცია შეაქვს სარეგისტრაციო ჟურნალში და ხელმოწერით ადასტურებს;

5.9 საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმის დადგენილებით ნაწილში უნდა აისახოს, თუ რომელი კონკურსანტის განცხადება და საბუთები აკმაყოფილებს პრეზიდენტის ბრძანებით დამტკიცებულ მოთხოვნებს, ანუ ვინ მიიღებს კონკურსში მონაწილეობას, ასევე ისიც, ვის და რატომ ეთქვა უარი კონკურსში მონაწილეობაზე. კომისია უნივერსიტეტის თვალსაჩინო ადგილზე გამოაკრავს კონკურსში მონაწილეთა სიას;
5.10 საკონკურსო კომისია უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, მოიწვიოს ექსპერტი, რომელიც არ იღებს მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღებაში ან/და კონკურსანტი გასაუბრებაზე;
5.11 საკონკურსო კომისიის დასკვნითი სხდომა იმართება პრეზიდენტის ბრძანებით დადგენილი თარიღის შესაბამისად და ეძღვნება კონკურსის შედეგების განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებას;
5.12 გადაწყვეტილებას კომისია იღებს სხდომაზე ღია კენჭისყრით. გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება თუ მას მხარს დაუჭერს კომისიის სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება ფიქსირდება შესაბამის ოქმში;
5.13 საკონკურსო კომისია კონკურსანტების მონაცემებს აფასებს და უპირატესობას ანიჭებს შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:
პირველი კრიტერიუმი**:** სამეცნიერო შრომების რაოდენობა და მათი შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან;
მეორე კრიტერიუმი: პედაგოგიური გამოცდილების ხანგრძლივობა და მისი შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან;
მესამე კრიტერიუმი: სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა;
მეოთხე კრიტერიუმი: სამეცნიერო საგრანტო პროექტებში მონაწილეობა ან/და სხვა სამეცნიერო აქტივობები;
5.14 საკონკურსო კომისიის დასკვნით სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების ოქმი, კონკურსის შედეგებით, სხდომის მომდევნო დღეს დასამტკიცებლად გადაეცემა პეზიდენტს;
5.15 კონკურსის დასრულებამდე საკონკურსო დოკუმენტაცია ინახება პასუხისმგებელ პირთან;
5.16 კონკურსის დამთავრების და აკადემიურ თანამდებობებზე დანიშვნის შესახებ რექტორის ბრძანების მიღების შემდეგ კონკურსის მასალები უნივერსიტეტში ინახება ერთი წლის განმავლობაში.

**VI. კონკურსის მიმდინარეობისა და შედეგების გასაჩივრება**

6.1 კონკურსის მიმდინარეობა და შედეგები შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.